ვარდო ბერიძე

შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ბათუმი

პიროვნება მეცნიერებაში (ა. გერცენის მიხედვით)

„მეცნიერებას პიროვნება არ ესაჭიროება. მეცნიერება არის უპიროვნობის სამეფო“

ა. გერცენი, „დილეტანტიზმი მეცნიერებაში“

პიროვნების კონცეპტუალური მნიშვნელობა და გაგება მრავალწახნაგოვანია (სხვადასხვაგვარია). პიროვნების ცნებასთან, მის სტრუქტურასთან დაკავშირებული საკითხები სხვადასხვა მეცნიერების კვლევისა და მსჯელობის საგანია. იგი წარმოადგენს ისეთი მეცნიერების ინტერესის სფეროს, როგორიცაა: ფილოსოფია, ფსიქოლოგია, ისტორია, სოციალური და პოლიტიკური მეცნიერებები.

ნაშრომში ყურადღება გამახვილებულია პიროვნების როლსა და გაგებაზე, არა რომელიმე კერძო მეცნიერული დარგის მიხედვით, არამედ ზოგადად პიროვნების ადგილზე მეცნიერებაში. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ხაზგასმული და გაანალიზებულია რუსი ფილოსოფოსის ალექსანდრე გერცენის შეხედულებები მისი რჩეული ფილოსოფიური თხზულების მიხედვით.

ა. გერცენი მეცნიერებაში მოღვაწე ადამიანებს გარკვეულ კატეგორიებად ყოფს, ერთი მხრივ, ცხოვრებისადმი თავიანთი შეხედულებებისა და მეორე მხრივ, მეცნიერებისა და რელიგიისადმი თავიანთი დამოკიდებულების მიხედვით.გერცენს რთულად და ძნელად წარმოუდგენია ცხოვრება ორი სამყაროს (წარსული და ახლანდელი) მიჯნაზე მცხოვრები ადამიანებისთვის, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ძველი წარსული შეხედულებები შერყეულია და ახალი შეხედულებები ჯერ კიდევ არ არიან დამკვიდრებული[1]. „ჩვენ

[1]გერცენის აზრით ასეთ შემთხვევაში ბევრი ადამიანი დარჩა ისე, რომ არც წარსული შეხედულებები გააჩნია და არც ახლანდელი. ზოგიერთმა მექანიკურად აურია ერთმანეთში ძველი და ახალი. ზერელე ადამიანები ცხოვრებისეულ ფუსფუსს ეძლევიან. მისი აზრით, განსაკუთრებით რთულ მდგომარეობაშია „გონებით მჭვრეტელი ადამიანები“, ვინაიდან მათ არ შეუძლიათ ცხოვრება შინაგანი განხეთქილებით, ზნეობრივი ყოფის გარეშე. ასეთ შემთხვევაში გონებით მჭვრეტელი ყველა გზას მიმართავს „შერიგებისთვის“. „საყოველთაო შერიგება აზროვნების სფეროში მსოფლიოს აუწყა მეცნიერებამ“(გერცენი,1953:15).

ვცხოვრობთ ორი სამყაროს მიჯნაზე: ამის გამოა ცხოვრება განსაკუთრებით სამძიმო და საძნელო მოაზროვნე ადამიანთათვის. ძველი შეხედულებანი, ყველა წარსული მსოფლმხედველობა, ძირშერყეულია, მაგრამ ისინი ძვირფასია გულისთვის. მრავლისმომცველმა დიადმა ახალმა შეხედულებებმა ჯერ კიდევ ვერ მოასწრეს ნაყოფის გამოღება“ (გერცენი, 1953:14).

გერცენი მეცნიერებაში მოღვაწე ადამიანებს ყოფს: მაჰმადიანებად[2], (შემდგომში ბუდისტებად მოიხსენიებს), ფორმალისტებად, დილეტანტებად, რომანტიკოსებად და გონებით მჭვრეტელ ადამიანებად. მაჰმადიანებად მიაჩნდა ზერელედ მოაზროვნე ადამიანები, რომლებსაც ყველაფერი იოლად ეჩვენებათ. გერცენი თვლის, რომ მათ მეცნიერებისადმი ახასიათებთ გარეგნული შერიგება და როცა უსმენთ, გგონიათ, რომ მეცნიერებას თითქოს მეტი აღარაფერი დარჩა საკეთებელი, მეცნიერებამ ამოწურა თავისი თავი. გერცენი ასეთ მოაზროვნეებს თანამედროვე მეცნიერების მტრებად მიიჩნევს. „მათ თავიანთი ყურანი აქვთ და სწამთ ის“ (გერცენი,1953: 16). დილეტანტები, - წერს გერცენი, მეცნიერებაში უშვებენ ავტორიტეტებს. „დილეტანტებს მეცნიერება გაეგებათ არა როგორც გონებისა და თვითშემეცნების თანმიმდევრობითი განვითარება, არამედ როგორც სხვადასხვა დროის პირების მიერ გამოგონილი სხვადასხვაგვარი ცდები, რომელთაც არავითარი კავშირი არა აქვთ ერთმანეთთან“(გერცენი,1953:35). მის მიერ დილეტანტებად მიჩნეულ მეცნიერთა საპასუხოდ გერცენი აღნიშნავს, რომ მეცნიერებას აქვს თავისი ავტონომია და თავისი გენეზისი. იგი თავისუფალია და ავტორიტეტებზე დამოკიდებული არ არის. გერცენი დილეტანტებს მეცნიერების მეგობრებად მიიჩნევს, მაგრამ „ისინი მტრებია მეცნიერების თანამედროვე მდგომარეობისა“ (Герцен,1954:17).

გერცენის აზრით, დილეტანტების გვერდით თავის უკანასკნელ დღეებს ითვლიან რომანტიკოსები, მათ წარსულის დაგვიანებულ წარმომადგენლებს უწოდებს, რომლებიც ღრმა მწუხარებით მისტირიან განსვენებულ ქვეყანას, რომელიც მათ მარადიული ეგონათ (გერცენი,1953:18). რომანტიკოსების შესახებ გერცენი წერს: „დადგა დრო, როცა გატაცებისა და ცრურწმენების გარეშე უნდა ვუყუროთ ადამიანებს. იწყება

[2]მაჰმადიანები მეცნიერებაში - გერცენი ასე უწოდებს იმ ადამიანებს, რომელთაც ბრმად სჯერათ მეცნიერული ნაწარმოების ანბანისა და რომელნიც კრიტიკულად არ ეპყრობიან მის შინაარს. ბუდისტებს არსებობა მიაჩნიათ ნამდვილ ბოროტებად, რადგან, მათი აზრით, ყოველი არსებული აჩრდილია (გერცენი, 1953: 477).

სრულწლოვანება, და ამიტომ არა მარტო ტკბილი უნდა ითქვას, არამედ მწარეც. გერცენი ჭეშმარიტების მიღწევისთვის მოითხოვს მსხვერპლის გაღებას. იგი აღნიშნავს, რომ მეცნიერების შეთვისება უშრომლად შეუძლებელია. მეცნიერებაში არ არსებობს შეძენის სხვა წესი, გარდა ოფლის ღვრისა. ჩვენი ხდება ის, რაც ჩვენს მიერ ტანჯვით არის მოპოვებული და რაც ჩვენს მიერ არის გამომუშავებული, რაც მუქთად ჩაგვივარდა ხელში, მისი ფასი ჩვენ არ ვიცით - წერს გერცენი. მისი აზრით, იყო დრო, როდესაც ადამიანს ბევრი რამ ეპატიებოდა იმისათვის, რომ მათ ჰქონდათ მარტო მისწრაფება, მარტო სიყვარული მეცნიერებისა. ეს დრო წავიდა. „ახლა ცოტაა მარტო პლატონური სიყვარული. ჩვენ რეალისტები ვართ. ჩვენ გვესაჭიროება, რომ სიყვარული იქცეს რეალობად ვერც აღტაცებანი და ვერც ფანტაზიები და ვერც მთელი გულით მისწრაფებანი ვერ შეცვლიან შრომას“ (Герцен А : 1842).

გერცენი საკმაოდ მკაცრია მეცნიერებაში მოღვაწე ადამიანების მიმართ. როგოც აღნიშნავს, „ჭეშმარიტების პატივისცემა - დიდი სიბრძნის დასაწყისია“, ამიტომ ჭეშმარიტების აღიარებისთვის აუცილებელია პირად შეხედულებებზე უარის თქმა. მისი აზრით, მეცნიერებამ გადააბიჯა ინდივიდუალობას (პიროვნების ეგოიზმს), შემთხვევითსა და დროებით პიროვნებებს, მეცნიერებამ ისინი მოიტოვა უკან. მეცნიერებაში თავისუფლება და სრულწლოვანება მეფობს. თანამედროვეობამდე ამაღლებული ადამიანი ვერ დაკმაყოფილდება მეცნიერების გარეშე. მეცნიერება იწყება რომელიღაც ზოგადი დებულებებით და არა რომელიმე პიროვნების შეხედულებებისა და მრწამსის გადმოცემით. „მეცნიერება არ ამბობს: დაუშვი ესა და ეს, ხოლო მე შენ მოგცემ ჭეშმარიტებას, რომელიც დამალული მაქვს, შენ შეგიძლია ჭეშმარიტება მიიღო, თუ მონურად მორჩილი იქნები“ (გერცენი, 1953: 34). მეცნიერებასთან დაკავშირებით გერცენი აღნიშნავს, რომ „თვით მეცნიერება ბუნების თავის თავში ღრმად ჩაწვდომის პროცესია“. იმისათვის, რომ მეცნიერებას მიეღწია სიფხიზლემდე საჭირო იყო 3000 წლიანი შრომა. მეცნიერება ადამიანში ავითარებს გვარეობითს იდეას, ზოგად გონებას, პიროვნულისგან განთავისუფლებულს. მეცნიერება თავიდანვე მოითხოვს პიროვნების მიტანას მსხვერპლად, გულის შეწირვას ზვარაკად, - ეს მისი აუცილებლობაა (გერცენი,1953: 95). მეცნიერებას აქვს ერთი სფერო ზოგადობისა, აზრისა. გონებამ არ იცის ეს პიროვნება, მან იცის მხოლოდ პიროვნებათა აუცილებლობა საერთოდ. გონება, როგორც უმაღლესი სამართლიანობა, პირუთვნელია - წერს გერცენი. მისი აზრით,

მეცნიერებისთვის მოწოდებულმა ადამიანმა მსხვერპლად უნდა შესწიროს თავისი პიროვნულობა, უნდა გაიგოს პიროვნულობა არა ჭეშმარიტ, არამედ შემთხვევით რამედ, დაამხოს იგი ყველა კერძო შეხედულებითურთ და ისე შევიდეს მეცნიერების ტაძარში. გერცენი ამ ფაქტით ხსნის სწორედ დილეტანტებისთვის მეცნიერების მიუწვდომლობას, რომ მათსა და მეცნიერებას შორის დგას მათი პიროვნება.მეცნიერება მოითხოვს ადამიანს მთლიანად, ქვენა აზრების გარეშე, ადამიანს, რომელიც მზადა არის ყველაფერი მისცეს მას და ჯილდოდ მიიღოს ფხიზელი ცოდნის მძიმე ჯვარი. გერცენი საუბრობს მეცნიერებაში პიროვნების დაღუპვასა და მეცნიერების მიერ პიროვნების შთანთქმის შესახებ, მაგრამ ბუნებრივია არაპირდაპირი გაგებით. გერცენს მხედველობაში ჰყავს ისეთი პიროვნებები, რომელთაც ზოგადობის სფეროში მოწოდების გარდა, სხვა მოწოდება არ აქვთ და მისი აზრით, თუ ის მოწოდება პირადია, მაშინ მისი შთანთქმა მეცნიერებას არ შეუძლია, სწორედ იმიტომ, რომ მეცნიერება აქარწყლებს პიროვნულს იმით, რომ აზოგადებს მას (გერცენი,1953: 96). იქვე: პიროვნების დაღუპვის პროცესი მეცნიერებაში არის უშუალო-ბუნებრივად შეგნებული, თავისუფალ-გონივრული პიროვნების დადგინების პროცესი. პიროვნება შეჩერებულია იმისათვის, რომ ახლად დაიბადოს.[3] მეცნიერებაში შთანთქმული პიროვნება უკუმოუქცევლად არ დაღუპულა. გერცენი თვლის, რომ ასეთი დაღუპვის გავლა აუცილებელია მეცნიერებაში მოღვაწე პიროვნებისთვის, რათა დარწმუნდეს, რომ დაღუპვა შეუძლებელია[4]. სხვაგვარად თუ ვიტყვით, აღნიშნავს გერცენი, საჭიროა პიროვნებამ უარყოს თავისი თავი, რომ იქცეს ჭეშმარიტების ჭურჭლად, რომ თავის თავით არ შეავიწროვოს ჭეშმარიტება, მიიღოს ჭეშმარიტება ყველა შედეგითურთ და ამ შედეგთა შორის აღმოაჩინოს თავისი უცილობელი უფლება თვითმყოფობის დაბრუნებისა (გერცენი, 1953:97).

---

[3]აკი პარაბოლაც დაიღუპა პარაბოლის განტოლებაში, და ციფრიც დაიღუპა ფორმულაში. მაგრამ პარაბოლა მხოლოდ მიიმალა განტოლებაში, და ისე არ მომკვდარა მასში, როგორც ციფრი არ მომკვდარა ფორმულაში. ნამდვილად არსებული შედეგის მისაღებად ხდება ანბანის შეცვლა ციფრით, ფორმულა ღებულობს ცოცხალი განსაკუთრებულობის სახეს, გადადის ისევ იმ მოვლენათა სამყაროში, საიდანაც გამოვიდა, მოძრაობს და პრაქტიკული შედეგით მთავრდება (გერცენი, 1953:97).

[4]არისტოტელე, ისევე როგორც პლატონი ჩაქრა მომდევნო ფილოსოფიურ სკოლებში. ბევრი განშტოებული სკოლების შემდეგ, რომელთაც მნიშვნელოვანი არაფერი გაუკეთებიათ, მთელი ანტიკური აზრის მემკვიდრედ გვევლინება ნეოპლატონიზმი, აღსრულება პლატონისა და არისტოტელესი. ნეოპლატონიზმით შევიდა ძველთა-ძველი აზრი ახალ სამყაროში. როგორც პიროვნება, როგორც თვითონ იგი, არისტოტელე დამარხული იყო ძველი სამყაროს ნანგრევებში მანამ, სანამ არაბმა არ გააცოცხლა და არ მიიყვანა იგი ევროპაში, შუა საუკუნეების სამყარო მლიქვნელურად დაიხარა არისტოტელეს ავტორიტეტის წინაშე (გერცენი,1953: 259).

რაც უფრო დიდია პიროვნების გავლენა, აღნიშნავს გერცენი, რაც უფრო მკაფიოდ ამოიკვეთება კერძო ინდივიდუალობის ბეჭედი, მით უფრო ძნელია გაარჩიოთ მასში გვარეობითი ინდივიდუალობის ნიშნები, მეცნიერება კი გვარეობითი აზროვნებაა, სწორედ ამიტომ ეკუთვნის იგი ყველას, რომ არავის არ ეკუთვნის.დიდი მოაზროვნეების უსასრულობა ან ნაკლი თავს იჩენს არა მასში, არამედ მიმდევრებში. გერცენს მაგალითისთვის მოჰყავს ანტიკურობაში პლატონისა და არისტოტელეს, ახალ დროში ჰეგელის პიროვნება და ფილოსოფიური მსოფლმხედველობა. იგი აღნიშნავს, რომ არისტოტელეს მსოფლმხედველობას ისეთი მეცნიერული ფორმისათვის არ მიუღწევია, რომელიც პოვებდა რა ყოველივეს თავის თავში და მეთოდში, მსოფლმხედველობას თვით არისტოტელეს დამოუკიდებლად დააყენებდა. „ამ მსოფლმხედველობას არ მიუღწევია იმ მომწიფებული თვითმყოფობისათვის, რომ სავსებით მოწყვეტილი პიროვნებისაგან, და, მაშასადამე, მას არ შეეძლო მთლიანად გადასულიყო არისტოტელეს მემკვიდრეთა ხელში - გადასულიყო, როგორც ისეთი მემკვიდრეობა, რომელსაც მხოლოდ განავითარებდნენ და მწყობრად წარმართავდნენ მას“(გერცენი,1953:256). პლატონისა და მის წინამორბედთა მოძღვრება არისტოტელეს შესაძლებლობას აძლევდა ასულიყო იმ სიმაღლეზე, რომელზედაც იგი მისმა გენიამ აიყვანა - წერს გერცენი. „გენიალობა პირად საქმეა. არისტოტელე გენიოსი იყო“. გერცენის აზრით, ყოველივე ამის შედეგი იყო თვითონ არისტოტელეს ფორმალური ქვეავტორიტეტული შესწავლა, ნაცვლად იმ სულის შეთვისებისა, რომელიც ცხოველმყოფელს ხდიდა მის მეცნიერებას (გერცენი,1953:257). მის მოწაფეებს მხოლოდ მაშინ შეეძლოთ გაეგოთ, შეეთვისებინათ არისტოტელეს შეხედულება, თუ კი ისინი მის საფუძველზე ისე დადგებოდნენ, რომ იზრუნებდნენ არა მის სიტყვებზე, არამედ წინ წაწევდნენ თვითონ საქმეს. ამისთვის გერცენი საჭიროდ მიიჩნევდა იმ ნებისყოფას, რაც გენიალურ პიროვნებას ეკუთვნოდა, გადასულიყო უპიროვნო მეთოდში. ე. ი. საჭირო იყო კიდევ ორი ათას წელს ეცხოვრათ ადამიანებს. გერცენი ჰეგელის ღვაწლს იმაში ხედავს, რომ ჰეგელმა მეცნიერება ისე განახორციელა მეთოდში, რომ „საკმარისია გაიგოთ მისი მეთოდი, რათა თითქმის სავსებით დაივიწყოთ მისი პიროვნება, რომელიც ხშირად ყოველგვარი საჭიროებების გარეშე ამჟღავნებს თავის გერმანულ ფიზიონომიას, ბერლინის უნივერსიტეტის პროფესორულ მუნდირს და ვერ ამჩნევს ამგვარი პირადი გამოსვლების წინააღმდეგობას გარემოსთან, რომელშიც ეს ხდება“ (გერცენი,1953:257).

გერცენის აზრით, პიროვნების დათმობა არაფერს ნიშნავს ფორმალისტებისთვის, რომლებიც მუდამ განყენებულთა სამყაროში იმყოფებიან, ვინაიდან ასეთი დათმობით ისინი ვერაფერს იძენენ. მათი ლირიზმი და მგზნებარება კმაყოფილდება განყენებული გაგებით. ისინი მეცნიერებას სწავლობენ როგორც რაღაც გარეგნულს. პიროვნების დათმობა ჯანსაღი, ძლიერი პიროვნების საქმეა, რომელსაც ეჯავრება თავის თავის მსხვერპლად შეწირვის მოთხოვნა, მაგრამ დაუძლეველი ძალა იზიდავს მას ჭეშმარიტებისკენ, მას ებრძვის ძლიერი რაღაც, რომლის წინააღმდეგ ძალა არ ყოფნის. გერცენის გაგებით, ეს არის ძლიერი პიროვნების გზა ჭეშმარიტებისა და მეცნიერებისკენ. ასეთი პიროვნების მოვალეობად გერცენი მიიჩნევს „გაცემას და არა აღებას“. „ადამიანს უნდა მიეცა, მაგრამ მას როდი უნდა აეღო“ (გერცენი,1953:98).

მეცნიერება არ არის ადამიანის ერთადერთი მიზანი.მეცნიერება თავისი თავის მიზანია. მეცნიერებას პიროვნება არ ესაჭიროება. ის ადამიანმა საკუთარი მკერდიდან გამოიხმო და მიანიჭა თავისუფლება და დამოუკიდებლობა. ადამიანისთვის მეცნიერება მომენტია, რომლის ორივე მხარეზე ცხოვრებაა: ერთი მხრიდან, ბუნებრივი -უშუალო ცხოვრება, რომელიც მეცნიერებისკენ ისწრაფვის, მეორე მხრიდან - მეცნიერებისგან გამომდინარე შეგნებულ თავისუფალი ცხოვრება - წერს გერცენი (გერცენი,1953:101). პიროვნება თავისი დროის ნაწარმოებია. მეცნიერება არის უპიროვნობის სამეფო, დამშვიდებული ვნებათაგან. მეცნიერებაში არის კრებული ოლიმპელთა და არა ადამიანები. მეცნიერებაში ჭეშმარიტება გახვეულია არა ნივთიერ სხეულში, არამედ ლოგიკურ ორგანიზმში და იგი ცოცხალია დიალექტიკური განვითარების არქიტექტონიკით და არა დროებითი ყოფიერების ეპოპეით (გერცენი,1953:109).

გერცენის შეხედულებებიდან გამომდინარე შეიძლება დავასკვნათ, რომ იგი არის რადიკალისტი და რეალისტი მეცნიერების არსების გაგებაში, რომ მეცნიერებაში არ ტოვებს ადგილს შემთხვევითი ადამიანებისთვის. მისი გაგებით, მეცნიერებას ესაჭიროება ძლიერი პიროვნებები და არა ისეთები, ვისთვისაც მეცნიერება არის ან მხოლოდ სწრაფვა, გატაცება, ან კიდევ პრაგმატული სარგებლობა.

გამოყენებული ლიტერატურა

1. გერცენი ალექსანდრე, რჩეული ფილოსოფიური თხზულებანი, ორ ტომად, ტ. I. გამომცემლობა: „სახელგამი“, თბილისი 1953.

2. Герцен А. „Дилетантизм в науке“, (Статья 1. 1842, апреля 25). http://www.pseudology.org/science/Herzen_Diletantism1.htm

3. Герцен А. Собрание Сочинений В Тридцати Томах, Том Третий. Издательство „Академии Н аук СССР“, Москва 1954.

Vardo Beridze

Summary

Conceptual meaning and understanding of the personality is multilateral. Issues related to its structure are the area of interest and the subject of study of such sciences as philosophy, psychology, history, social philosophy, political philosophy, etc.

The work focuses on the understanding of the role and importance of the individual not relative to any particular scientific branch, but in general, regarding the place of the individual in science. In this regard, the article analyzes the views of Alexander Hercen from his selected philosophical writings.